

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

05 იანვარი, 2017 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

მამუკა წოწერია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია _ მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი;

ლაშა ჯაიანი _ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ნათია ჩიტაია _ ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

გიგა ფარულავა _ შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ბესიკ ქარდავა _ შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

კახაბერ ჯაბუა _ შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ რვა წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგიას ინფორმაცია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე 2016 წლის 29 დეკემბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA160032546) უარყოფითი შედეგით დასრულებისა და ხელახალი ტენდერის პროცედურის ჩატარების თაობაზე და კომისიას განსახილველად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.









სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ ხელახლა განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 500 ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურების




შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ხელახლა ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|-------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | ლ. გოგია | (თავმჯდომარე). | 5. |  | რ. კილასონია. |
| 2. |  | მ. შოწერია. | | 6. |  | თ. კობალავა. |
| 3. |  | თ. შანავა. | | 7. |  | ლ. ჯიანი. |
| 4. |  | ნ. მიქელია. | | 8. |  | ნ. ბიტავა. |

კომისიის აპარატის წევრები:

- | | | |
|----|---|--------------|
| 1. |  | გ. ფარულავა. |
| 2. |  | ბ. ქარდავა. |
| 3. |  | კ. ჯაბა. |